



## საიამ ახალი კვლევების პრეზენტაცია გამართა

2015 წლის 6 ივლისს, ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოს ოფისში, საიამ შემდეგი კვლევების პრეზენტაცია გამართა:

სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული სანარმოების გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება საქართველოში;

- საჯარო-კერძო პარტნიორობა (საქართველოში არსებული ტენდენციები).

სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული სანარმოების გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულების მიმართულებით მომზადებული კვლევის შედეგად ცნობილი გახდა, რომ:

- არ არსებობს სათანადო რეგულაციები, რომელიც სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სანარმოების გამჭვირვალობის თუნდაც მინიმალურ სტანდარტს დაადგენს;
- სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ განეული საქმიანობა, რომელიც სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილ სანარმოებთან არის დაკავშირებული ვერ ჩაითვლება კორუფციის პრევენციისა და მასთან ბრძოლის ეფექტურ მექანიზმად;
- სააგენტოს მართვის რგოლში შემავალ სანარმოებში დაბალია იმ სანარმოთა რიცხვი, რომელთაც გააჩნიათ ეთიკის მარეგულირებელი წესები და თვითშეფასების დოკუმენტები;
- სააგენტოს მართვაში არსებულ არცერთ სანარმოში, ამ დრომდე მმართველი რგოლის დანიშვნა კონკურსის წესით არ განხორციელებულა და სამწუხაროდ, მსგავსი ვალდებულება არც კანონით არის განსაზღვრული;
- არ არის განსაზღვრული სანარმოების მხრიდან წლიური ანგარიშების წარდგენის ფორმა, წესი და პირობები.
- სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ სანარმოთა უმეტესობას არ

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



გააჩნია ვებ-გვერდი, არ არსებობს პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია განხორციელებული ღონისძიებების, სამომავლო გეგმების, წლიური ანგარიშებისა და სხვა მსგავსი ხასიათის საკითხების შესახებ.

რაც შეეხება საჯარო-ვერდო პარტნიორობის საკითხზე მომზადებულ კვლევას, დოკუმენტში საიას მიერ შესწავლილი იქნა საქართველოს სამინისტროების და მთავრობის ადმინისტრაციის პრაქტიკა. კვლევის შედეგების გათვალისწინებით ნათელია, რომ:

- სამინისტროების უმრავლესობას საჯარო-ვერდო პარტნიორობის ფარგლებში პროექტები არ განუხორციელებია, ხოლო ნაწილის მიერ განხორციელებული აქტივობები ცალსახად არ შეესაბამება საჯარო-ვერდო პარტნიორობის ცნებასა და ფორმას;
- უმეტესწილად, უწყებებს საჯარო-ვერდო პარტნიორობა პირდაპირი მნიშვნელობით ესმით და მასთან აიგივებენ ადმინისტრაციულ ორგანოსა და ვერდო სექტორს შორის არსებულ ნებისმიერი სახის ურთიერთობას, მიუხედავად მისი შინაარსისა;
- რიგი უწყებების შემთხვევაში დაფიქსირდა ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების საჯარო-ვერდო პარტნიორობად მოაზრების ფაქტებიც, რაც, ცალსახად, აღნიშნული ინსტიტუტის თაობაზე საჯარო სექტორში არსებულ მცდარ წარმოდგენებზე მიუთითებს.

პრეზენტაციზე ასევე წარმოდგენილი იყო ხორვატი და ინგლისელი ექსპერტების მიერ მომზადებული კვლევები. ხორვატი ექსპერტის კვლევა ეხებოდა, ხორვატიის გამოცდილებას სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული საწარმოების გამჭვირვალობის და ანტიკორუფციული რეფორმის მიმართულებით. ხოლო ინგლისელი ექსპერტის კვლევაში განხილულ იქნა საჯარო-ვერდო პარტნიორობის გამოცდილება დიდ ბრიტანეთსა და სხვა ქვეყნებში. ექსპერტებმა კვლევები საიას დაკვეთით მოამზადეს.

საია იმედოვნებს, რომ წარმოდგენილი კვლევები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული საწარმოების გამჭვირვალობის გაზრდას და ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან საჯარო-ვერდო პარტნიორობასთან დაკავშირებულ საკითხებზე სწორი წარმოდგენის ჩამოყალიბებას.